

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2022 წლის 1 დეკემბერი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის №22 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 26.09.2019 წელი; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.121.016377) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43¹, 43², 46⁵, 46⁶, 49, 51, 51³, 52, 53³, 55, 55², 55³, 55⁶, 63, 64, 64², 65, 66, 67, 68, 71, 73, 74, 75, 76, 77¹, 77², 82⁵, 103-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებთან, 119¹, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12, მე-13, მე-14, მე-15 და მე-16 ნაწილებთან, 125⁴, 127¹ მუხლის მეხუთე ნაწილთან, 134¹, 135, 145, 146¹, 148, 150, 150¹, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილთან, 151², 152, 152², 156¹, 159, 159¹, 172⁸, 172⁹, 196¹, 196³, 196⁶, 197, 197¹, 198-ე მუხლებთან მიმართებით“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

